BAG საქართველოს ბიზნეს ასოციაცია
BUSINESS ASSOCIATION OF GEORGIA

#02/04

15.01.2020

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს

ბატონ არჩილ თალაკვაძეს

ასლი: საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და

სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარეს

ბატონ დიმიტრი ხუნდაძეს

ბატონო არჩილ,

როგორც მოგეხსენებათ, გასული წლის ბოლოს „თამბაქოს კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონში განხორციელდა ცვლილებები თამბაქოს ახალი ნაწარმისა და გასახურებელი თამბაქოს რეგულირების მიზნით, თუმცა ჩვენი არაერთგზის შუამდგომლობის მიუხედავად, რეგულირების მიღმა დატოვებულ ან უგულებელყოფილი იქნა რიგი საკითხები რაც, ჩვენი აზრით, გამომდინარეობს ევროკავშირის ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკიდან; კერძოდ, საქმე ეხება თამბაქოს ახალი ნაწარმის და გასახურებელი თამბაქოს ბაზარზე დაშვების პარალელურად, სრულწლოვან, მწეველ მომხმარებელთან ურთიერთობას და ნაწარმის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას.

გამომდინარე იქიდან, რომ ჩვენი ინფორმაციით უახლოეს მომავალში საქართველოს პარლამენტში იგეგმება „თამბაქოს კონტროლის შესახებ" კანონში ახალი ცვლილებების ინიცირება და განხილვა, მოგმართავთ თხოვნით, რომ ცვლილებების ამ ეტაპზე ასევე განიხილოთ ჩვენს მიერ შემოთავაზებული ცვლილებები, კერძოდ:

თამბაქოს ნაწარმის სრულწლოვან მომხმარებელთან კომუნიკაციისა და მათთვის გასახურებელი თამბაქოსა და თამბაქოს ახალი ნაწარმის შესახებ ინფორმაციის მიწოდების მიზნით, ევროკავშირის ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით, ჩვენი აზრით ქართული კანონმდებლობითაც უნდა იქნეს დაშვებული გამონაკლისები და დღეს მოქმედ, „თამბაქოს კონტროლის შესახებ" კანონის:

ა) მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „მ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

საქართველო, თბილისი 0105
გიორგი ლეონიძის ქ. #2
ტელ.: 995 32 2202 215
ელ.ფოსტა: info@bag.ge

საქართველოს პარლამენტის აპარატი
საქმისწარმოების დეპარტამენტი
შემოს.№ 1-566/20
16 01 2020 ფურცლ. 7

www.bag.ge

„მ. ვიტრინაზე, ვიტრაჟზე, დახლზე, თაროზე ან სხვაგვარად, ისე, რომ იგი ხილვადი იყოს შესაბამისი ობიექტის გარედან (გარდა სიგარეტის ასანთები სპეციალური სანთებელასი, საფერფლისა და პორტსიგარისა, რომლებზედაც არ არის დატანილი თამბაქოს ინდუსტრიაში ჩაბმულ პირთა ნაწარმის (საქონლის) სასაქონლო ნიშანი ან/და დასახელება, აგრეთვე გარდა თამბაქოს ახალი ნაწარმის და გასახურებელი თამბაქოს აქსესუარებისა და თამბაქოს ახალი ნაწარმის და გასახურებელი თამბაქოს მოხმარებისთვის განკუთვნილი მოწყობილობებისა, აგრეთვე აეროპორტში საბაჟო ტერიტორიის თავისუფალ ზონაში რეალიზაციისა და განლაგების შემთხვევებისა).“

ბ) მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ნ. ვიტრინაზე, ვიტრაჟზე, დახლზე, თაროზე ან სხვაგვარად, ისე, რომ იგი ხილვადი იყოს შესაბამისი ობიექტის შიგნიდან (გარდა სიგარეტის ასანთები სპეციალური სანთებელასი, საფერფლისა და პორტსიგარისა, რომლებზედაც არ არის დატანილი თამბაქოს ინდუსტრიაში ჩაბმულ პირთა ნაწარმის (საქონლის) სასაქონლო ნიშანი ან/და დასახელება, აგრეთვე გარდა თამბაქოს ახალი ნაწარმის და გასახურებელი თამბაქოს აქსესუარებისა და თამბაქოს ახალი ნაწარმის და გასახურებელი თამბაქოს მოხმარებისთვის განკუთვნილი მოწყობილობებისა, აგრეთვე აეროპორტში საბაჟო ტერიტორიის თავისუფალ ზონაში რეალიზაციისა და განლაგების შემთხვევებისა).“

გ) მე-5 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-6 პუნქტი:

„6. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტი და მე-3 პუნქტის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტები არ ვრცელდება თამბაქოს ახალ ნაწარმზე, გასახურებელ თამბაქოზე, თამბაქოს ახალი ნაწარმის და გასახურებელი თამბაქოს აქსესუარებსა და/ან თამბაქოს ახალი ნაწარმის და გასახურებელი თამბაქოს მოხმარებისთვის განკუთვნილ მოწყობილობებზე.“

ჩვენი შემოთავაზების არსი მდგომარეობს იმაში, რომ თამბაქოს ახალ ნაწარმსა და გასახურებელ თამბაქოზე, მათი მოხმარებისათვის განკუთვნილ მოწყობილობაზე და აქსესუარებზე არ გავრცელდეს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ის აკრძალვები, რაც დაკავშირებულია ინტერნეტით ან/და ფოსტით საცალო ვაჭრობასთან, პირდაპირ პერსონალურ კომუნიკაციასთან და აგრეთვე ინდივიდისათვის განკუთვნილ საინფორმაციო მასალასთან, რომელიც შეიცავს მხოლოდ ობიექტურ ინფორმაციას ნაწარმის მახასიათებლებსა და მისი მოხმარების წესთან დაკავშირებით; შემოთავაზებული რედაქცია, ობიექტის შიგნიდან და გარედან ხილვადობის აკრძალვის მიზნებისათვის აგრეთვე ითვალისწინებს სპეციფიკურ მიდგომას მხოლოდ თამბაქოს ახალი ნაწარმისა და გასახურებელი თამბაქოს აქსესუარებისა და მათი მოხმარებისთვის განკუთვნილი მოწყობილობებისათვის.

მსოფლიოს მასშტაბით ხუთ ათეულამდე ქვეყანაში (მათ შორის მაღალგანვითარებულ ქვეყნებში) თამბაქოს ახალი ნაწარმისათვის და გასახურებელი თამბაქოსათვის

გათვალისწინებულია სწორედ მსგავსი და ბევრად ვრცელი გამონაკლისები; ასე მაგალითად, შვეიცარიაში, გერმანიასა და დიდ ბრიტანეთში დაშვებულია შესაბამსი პროდუქტის მომხმარებლებთან უშუალო კომუნიკაცია (პირდაპირი პერსონალური კომუნიკაცია, პირდაპირი გზავნილი, ონლაინ გაყიდვები, სმს და ელექტრონული ფოსტით შეტყობინებები); ზოგიერთ ქვეყანაში კი (მაგალითად გერმანია) დაშვებულია თავად გარე რეკლამაც კი; (შეზღუდვების, აკრძალვების და გამონაკლისების მცირე ცხრილს, მაგალითისათვის თან ვურთავთ წინამდებარე წერილს).

ამავდროულად ჩვენ კარგად გვესმის თამბაქოს კონტროლის შესახებ კანონში ასახული ცვლილებების არსი და სრულად ვაცნობიერებთ იმ მიღწევებს, რაც ქვეყანას ბოლო წლებში ჰქონდა დახურულ სივრცეში თამბაქოს ნაწარმის მოხმარების და საჯარო რეკლამის აკრძალვის, განსაკუთრებით არასრულწლოვანთა თამბაქოს მავნე ზემოქმედებისაგან დაცვის კუთხით.

მოგმართავთ თხოვნით, განიხილოთ ჩვენს მიერ შემოთავაზებული ცვლილებების განხორციელების შესაძლებლობა და აქვე გიდასტურებთ, რომ ჩვენ მზად ვართ, ჩვენს მიერ შემოთავაზებული ამ ფორმულირების განსახილველად დაინტერესებულ მხარეებთან ერთად.

წინასწარ გიხდით მადლობას გულისხმიერებისა და დახმარებისათვის.

დანართი: 4 ფურცელი.

პატივისცემით,

ლევან ვეფხვაძე

აღმასრულებელი დირექტორი

თამბაქოს და თამბაქოს ახალი ნაწარმის და გასახურებელი თამბაქოს მარკეტინგის და მომხმარებელთან კომუნიკაციის მიზნებისათვის შეზღუდვები

გერმანიაში, შვეიცარიასა და დიდ ბრიტანეთში

შეზღუდვები:	ტრადიციული თამბაქოს სიგარეტი	Heat-not-Burn ნაწარმი
	გერმანია	
ტელევიზია & რადიო	აკრძალულია	აკრძალულია
კინო	ნებადართულია	ნებადართულია
გარე-რეკლამა	ნებადართულია	ნებადართულია
საბეჭდი მასალები/ბეჭდური გამოცემა	აკრძალულია	აკრძალულია
ინტერნეტი	შეზღუდულია	შეზღუდულია
პირდაპირი გზავნილი	ნებადართულია	ნებადართულია
სმს/მმს- ტექსტური შეტყობინება	ნებადართულია	ნებადართულია
ელ.ფოსტა	ნებადართულია	ნებადართულია
ელექტრონული გაყიდვები	ნებადართულია	ნებადართულია
პირდაპირი პერსონალური კომუნიკაცია	ნებადართულია	ნებადართულია
რეკლამა გაყიდვების წერტილზე / ინფორმაცია	ნებადართულია	ნებადართულია
სამედიცინო გაფრთხილება	მოწევა კლავს	თამბაქოს ეს ნაწარმი ზიანს აყენებს თქვენს ჯანმრთელობას და იწვევს დამოკიდებულებას
თვითმომსახურების წერტილი	ნებადართულია	ნებადართულია
რეკლამა/კომუნიკაცია სამასპინძლო (ჰორეკა) დაწესებულებებში	ნებადართულია	ნებადართულია
ღონისძიებები სამასპინძლო დაწესებულებებში	ნებადართულია	ნებადართულია
ბრენდის სპონსორობა	შეზღუდულია	შეზღუდულია
პროდუქტის პოპულარიზაცია მომხმარებელთან/ საჩუქრები	შეზღუდულია	შეზღუდულია

სავაჭრო პროგრამები / კომუნიკაცია / პოპულარიზაცია	ნებადართულია	ნებადართულია
ვენდინგ აპარატები	ნებადართულია	ნებადართულია
გაყიდვის წერტილში განთავსებება/ხილვადობა	ნებადართულია	ნებადართულია
დახურულ სივრცეებში გამოყენება	აკრძალულია	შეზღუდულია

	შვეიცარია	
ტელევიზია & რადიო	აკრძალულია	აკრძალულია
კინო	შეზღუდულია	შეზღუდულია
გარე-რეკლამა	შეზღუდულია	შეზღუდულია
ბეჭდური მასალები	ნებადართულია	ნებადართულია
ინტერნეტი	ნებადართულია	ნებადართულია
პირდაპირი გზავნილი	ნებადართულია	ნებადართულია
სმს/მმს ტექსტური შეტყობინება	ნებადართულია	ნებადართულია
ელ. ფოსტა	ნებადართულია	ნებადართულია
ელექტრონული გაყიდვები	ნებადართულია	ნებადართულია
პირდაპირი პერსონალური კომუნიკაცია	ნებადართულია	ნებადართულია
რეკლამა გაყიდვების წერტილზე / ინფორმაცია	ნებადართულია	ნებადართულია
სამედიცინო გაფრთხილება	მოწევა კლავს	თამბაქოს ეს ნაწარმი ზიანს აყენებს თქვენს ჯანმრთელობას და იწვევს დამოკიდებულებას
თვითმომსახურების წერტილი	ნებადართულია	ნებადართულია
რეკლამა/კომუნიკაცია სამასპინძლო (ჰორეკა) დაწესებულებებში	ნებადართულია	ნებადართულია
ღონისძიებები სამასპინძლო დაწესებულებებში	ნებადართულია	ნებადართულია
ბრენდის სპონსორობა	შეზღუდულია	შეზღუდულია
პროდუქტის პოპულარიზაცია მომხმარებელთან/ საჩუქრები	ნებადართულია	ნებადართულია

სავაჭრო პროგრამები / კომუნიკაცია / პოპულარიზაცია	ნებადართულია	ნებადართულია
ვენდინგ აპარატები	ნებადართულია	ნებადართულია
გაყიდვის წერტილში განთავსებება/ხილვადობა	ნებადართულია	ნებადართულია
დახურულ სივრცეებში გამოყენება	შეზღუდულია	შეზღუდულია

დიდი ბრიტანეთი		
ტელევიზია & რადიო	აკრძალულია	შეზღუდულია
კინო	აკრძალულია	ნებადართულია
გარე-რეკლამა	აკრძალულია	ნებადართულია (გარე-ბანერები და ავტობუსები)
ბეჭდური მასალები	აკრძალულია	შეზღუდულია
ინტერნეტი	აკრძალულია	ნებადართულია
პირდაპირი გზავნილი	აკრძალულია	ნებადართულია
სმს/მმს ტექსტური შეტყობინება	აკრძალულია	მხოლოდ ფაქსი
ელ.ფოსტა	აკრძალულია	მხოლოდ პირდაპირი ელ. ფოსტა
ელექტრონული გაყიდვები	შეზღუდულია	ნებადართულია
პირდაპირი პერსონალური კომუნიკაცია	ნებადართულია	ნებადართულია
რეკლამა გაყიდვების წერტილზე / ინფორმაცია	შეზღუდულია	ნებადართულია
სამედიცინო გაფრთხილება	მოწევა კლავს	თამბაქოს ეს ნაწარმი მოწევა ზიანს აყენებს თქვენს ჯანმრთელობას და იქვევს დამოკიდებულებას
თვითმომსახურების წერტილი	აკრძალულია	შეზღუდულია
კომუნიკაცია სრულწლოვან თამბაქოს მომხმარებლებთან	აკრძალულია	ნებადართულია

საპოპულარიზაციო ღონისძიებები სრულწლოვან თამბაქოს მომხმარებლელთან	აკრძალულია	ნებადართულია
ბრენდის სპონსოროობა	აკრძალულია	შეზღუდულია (მხოლოდ cross-border-ის შემთხვევაში)
პროდუქტის პოპულარიზაცია მომხმარებელთან/ VAOs	შეზღუდულია	შეზღუდულია
სავაჭრო პროგრამები / კომუნიკაცია / პოპულარიზაცია	ნებადართულია	ნებადართულია
ვენდინგ აპარატები	აკრძალულია	აკრძალულია
გაყიდვების წერტილში ხილვადობის აკრძალვა	აკრძალულია	შეზღუდულია
დახურულ სივრცეებში გამოყენება	შეზღუდულია	შეზღუდულია